EASTERN (BALTIC) JOINT STOCK COMPANY

აღმოსავლეთის (ბალტიის) საპაიო კომპანია

IZOLDA BELTADZE

Doctor of historical sciences,
Professor
Of Batumi Shota Rustaveli State University
№35 E. Ninoshvili st. Batumi, Georgia
Beltadzeizoda@gmail.com
+995599110111
Orcid ID:0000-0002-7488-5732

Abstract

We set out to study the history of the Eastern (Baltic) Joint Stock Company, founded by Britain.

The British East India Company (Eastland-Baltic Company) was founded in 1579, following the example of the Moscow Company (1555).

This company was monopolistic and privileged.

A study of the British East India Company (Baltic Company) has shown that from its founding until the end of the 17th century, it gained a monopoly on trade in the East. According to the charter, its area of operation included Norway, Sweden, Poland, Prussia, Finland, and the Netherlands. Pirates were rife at sea, competing with the Hanseatic League, but this did not deter the English, as Baltic trade was extremely important to the English economy. Goods exported from the Baltic Sea contributed to the development and equipment of its fleet, which ensured the country's defense and stability. In the early years of the company's existence, the main imports were grain, flax, and hemp, and in the 17th century, potash and timber. In turn, England exported mainly textiles, leather, furs, potash, and timber to the Baltic states. Initially, the main export product was cloth. However, by the beginning of the 17th century, the sale of cloth had become less profitable. Therefore, in addition to cloth, the export of fox skins, lambskin, gray and black rabbit skins, as well as lead, tin, saffron, and coal played an important role.

After the company was founded, English merchants settled in Elbing and established themselves there in more favorable conditions than they had enjoyed in Danzig, which they maintained for half a century. English merchants were keen on the economic well-being of their country and in many cases outperformed their competitors.

The Baltic (East) Trading Company, like other English companies, played an important role in the development of the country's foreign trade. Later, the focus gradually shifted from Baltic trade to transatlantic trade. The East India and West India Trading Companies were created, which contributed to England's colonial expansion and economic development.

Keywords: Share, monopoly, charter, merchant-adventurers, mercers, alderman, resident.

იზოლდა ბელთაძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პროფესორი
საქართველო. ბათუმი. ნინოშვილის № 35
Beltadzeizoda@gmail.com
+995599110111
Orcid ID:0000-0002-7488-5732

აბსტრაქტი

ჩვენ მიზნად დავისახეთ, შეგვესწავლა ბრიტანეთის მიერ დაარსებული აღმოსავლეთის (ბალტიის) საპაიო კომპანიის ისტორია.

ბრიტანეთის აღმოსავლეთის (ისტლენდის- ბალტიის) საპაიო კომპანია წარმოიშვა მოსკოვის საპაიო კომპანიის (1555 წ) მაგალითზე 1579 წელს.

ეს კომპანია იყო მონოპოლიური და პრივილეგირებული.

ბრიტანეთის აღმოსავლეთის (ბალტიის) საპაიო კომპანიის შესწავლამ ნათელყო, რომ მან მისი დაარსებიდან XVII ს-ის ბოლომდე, მოიპოვა მონოპოლიური უფლება აღმოსავლეთში ვაჭრობაზე. ქარტიით მისი მოქმედების არეალი მოიცავდა ნორვეგიას, შვედეთს, პოლონეთს, პრუსიას, ფინეთს, ჰოლანდიას. მეკობრეები იჭრებოდნენ ზღვაში, ჰანზა უწევდა კონკურენციას, მაგრამ ამან ვერ შეაჩერა ინგლისელები, ვინაიდან ბალტიისპირეთის ვაჭრობა უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ინგლისის ეკონომიკისთვის. ბალტიისპირეთიდან ექსპორტირებული საქონელი ხელს უწყობდა მისი ფლოტის განვითარებას და აღჭურვას, რაც უზრუნველყოფდა ქვეყნის თავდაცვას და სტაბილურობას. კომპანიის არსებობის პირველ წლებში ძირითადი იმპორტი იყო მარცვლეული, სელი და კანაფი, ხოლო მე-17 საუკუნეში- კალიუმი და ხე-ტყე. თავის მხრივ, ინგლისმა ბალტიისპირეთის ქვეყნებში ექსპორტზე ძირითადად ქსოვილები, ტყავი, ბეწვი, კალიუმი და მერქანი გაიტანა. თავდაპირველად, ძირითადი საექსპორტო პროდუქტი ქსოვილი იყო. თუმცა მე-17 საუკუნის დასაწყისში ქსოვილების გაყიდვა ნაკლებად მომგებიანი გახდა. ამიტომ, ქსოვილის გარდა, მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მელას ტყავის, ბატკნის, ნაცრისფერი და შავი კურდღლის ტყავის, ასევე ტყვიის, კალის, ზაფრანის და ნახშირის ექსპორტი.

კომპანიის შექმნის შემდეგ მოხდა ინგლისელი ვაჭრების დასახლება ელბინგში და დაიმკვიდრეს აქ თავი უფრო ხელსაყრელ პირობებში, ვიდრე სარგებლობდნენ დანციგში, რაც შენარჩუნეს ნახევარი საუკუნის განმავლობაში. ინგლისელი ვაჭრები მონდომებული იყვნენ საკუთარი ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობით და ხშირ შემთხვევაში სჯობნიდნენ მათ კონკურენტებს.

ბალტიის (აღმოსავლეთის) საპაიო კომპანიამ, ინგლისის სხვა კომპანიების მსგავსად, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქვეყნის საგარეო ვაჭრობის განვითარებაში. შემდგომში ყურადღება თანდათან ბალტიისპირეთის ვაჭრობიდან ტრანსატლანტიკურ ვაჭრობაზე გადავიდა. შეიქმნა ოსტ-ინდოეთის ვესტ-ინდოეთის საპაიო კომპანიები, რომლებმაც ხელი შუწყო ინგლისის კოლონიურ ექსპანსიას და ეკონომიკურ განვითარებას.

საკვანძო სიტყვები: საპაიო, მონოპოლიური, ქარტია, ვაჭარ-ავანტიურისტთა, მერსერთა, ოლდერმენი, რეზიდენტი.

შესავალი

ნაშრომში მოცემულია ბრიტანეთის მიერ დაარსებული აღმოსავლეთის (ბალტიის) საპაიო კომპანიის ისტორია.

XVI საუკუნეში ინგლისში, როგორც ცნობილია, განვითარდა ნაციონალური საგარეო ვაჭრობა, რომელიც მანამდე უცხოელების ხელში იყო. ინგლისის ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიის (ლონდონის, იორკის, ნიუკასლის, ჰულეს, ნორიჩის) ვაჭართა რიგებიდან წარმოიშვა უფრო დიდი, მონოპოლიური, სააქციო ანუ საპაიო კომპანიები: ლევანტის, ოსტ-ინდოეთის, ვესტ-ინდოეთის, ვირჯინიის, მოსკოვის, აღმოსავლეთის. აღნიშნულმა კომპანიებმა დიდი როლი შეასრულეს ქვეყნის ეკონომიკის პროგრესულ განვითარებაში და ხელი შეუწყეს ინგლისში ეროვნული ბაზრის ჩამოყალიბებასა და ეკონომიკური საზოგადოების შექმნას **(Штокмар, 1962:139-141).**

მნიშვნელოვანი იყო ერთ-ერთი, აღმოსავლეთის (ბალტიის-„Eastern“) საპაიო კომპანია, რომლის შესახებაც გვექნება ქვემოთ მსჯელობა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ბალტიის (აღმოსავლეთის) საპაიო კომპანიის შესახებ არ გაგვაჩნია არცერთი მეცნიერული გამოკვლევა.

მეთოდი

ნაშრომში კრიტიკული ანალიზის საფუძველზე გამოვიყენეთ ბალტიისპირეთის საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხების, უცხოელ მკვლევართა კოკის(13), დიდორფის(14), ჰინტონის(15), ლინგელბახის(16), ლიპსონის(17), რამზეის(18), ჯ.ბოლტონის (2), ციპურინას (8,9) შრომები.

შედეგები

ბრიტანეთის აღმოსავლეთის (ბალტიის) საპაიო კომპანიამ მისი დაარსებიდან XVII ს-ის ბოლომდე, მოიპოვა მონოპოლიური უფლება აღმოსავლეთში ვაჭრობაზე.

ბალტიისპირეთიდან ექსპორტირებული საქონელი ხელს უწყობდა მისი ფლოტის განვითარებას და აღჭურვას, რაც უზრუნველყოფდა ქვეყნის თავდაცვას და სტაბილურობას.

კომპანიის შექმნის შემდეგ მოხდა ინგლისელი ვაჭრების დასახლება ელბინგში და დაიმკვიდრეს აქ თავი უფრო ხელსაყრელ პირობებში, რაც შენარჩუნეს ნახევარი საუკუნის განმავლობაში.

ბალტიის (აღმოსავლეთის) საპაიო კომპანიამ, ინგლისის სხვა კომპანიების მსგავსად, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქვეყნის საგარეო ვაჭრობისა და ეკონომიკის განვითარებაში~

მსჯელობა

ბრიტანეთის აღმოსავლეთის (ისტლენდის- ბალტიის) საპაიო კომპანია წარმოიშვა მოსკოვის საპაიო კომპანიის (1555 წ) მაგალითზე. კომპანიას 1579 წლის ქარტიით განსაზღვრული ჰქონდა გეოგრაფიული საზღვრები, თუ სად უნდა ევაჭრათ, რომელ ქვეყნებში: ნორვეგია, შვედეთი, პოლონეთი, პრუსია, ფინეთი, ჰოლანდია. ქალაქებში: ოლდერი, კენინგსბერგი, ელბინგი, ბროუნსბურგი, დანციგი, კოპენჰაგენი, ელსენორი. ერთი სიტყვით, ის მოიცავდა ბალტიისპირეთის თითქმის ყველა ქვეყანას და კუნძულს. რუსული პორტი ნარვა ეკუთვნოდა მოსკოვის კომპანიას, სადაც ვაჭრობა ეკრძალებოდა ბალტიის

კომპანიის ვაჭრებს. ასევე არ უნდა ევაჭრათ ჰამბურგში, საიდანაც ინგლისელები გააძევეს (1578 წ.)

ეს კომპანია იყო მონოპოლიური და პრივილეგირებული, რომელიც როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, მოიცავდა დიდ ტერიტორიას. ყიდვა-გაყიდვა ხდებოდა ფიზიკური პირების მიერ. ხელისუფლებამ ნება დართო საზღვაო აღჭურვილობა შეეძინა ერთ ინდივიდს, რომელიც ლონდონის მერისა და დედოფლის მიერ მოიხსენიება ,როგორც „დედოფლის ვაჭარი დანსკესთვის“. მარიამის მეფობის დროს (1553-1558 წწ) ეს თანამდებობა დაიკავა უილიამ უიტსონმა, ხოლო 1559 წლის დეკემბერში თომას ალენმა, რომელიც იმყოფებოდა ამ თანამდებობაზე 1603 წლამდე.

საინტერესოა როგორი იყო კომპანიაში მიღების წესი, ვინ იყო კომპანიის წევრები, როგორი იყო მმართველობის ორგანოები, შემდეგში რატომ იკლო კომპანიის შემოსავალმა.

ადრე აღმოსავლეთის (Eastern) საპაიო კომპანიაში უნდა შესულიყო მხოლოდ ინგლისელები. მათი აზრით, „ჩვენი მემკვიდრეები და მხოლოდ მემკვიდრეები“ უნდა იყვნენ კომპნიაში (Studies,1913, გვ. 286). არ შეიძლებოდა კომპანიაში მიეღოთ უცხოელები, ხელოსნები, შეგირდები და საცალო ვაჭრები. მოგვიანებით შემოსავლის გაზრდის მიზნით, ეს წესი შეცვალეს. კომპანიაში შევიდა სხვა ქვეყნის ვაჭრებიც. მაგალითად ვაჭარ-ავანტიურისთა კომპანიის და ესპანეთის ვაჭრები, რომლებიც ვაჭრობდნენ აღმოსავლეთში და სურდათ კომპანიაში შესვლა უნდა გადაეხადათ მეტი- 40 მარკის ოდენობით. ასევე დაუშვეს კომპანიაში 1568 წლის შემდეგ მოსული შეგირდები და დაბადებული პირები (ვაჭრების ვაჟები) დაწესებული თანხის გადახდის პირობით (Studies, 1913, გვ.286).

ირკვევა, რომ კომპანიაში შესატანი თანხა ყველასათვის ერთნაირი არ იყო. კომპანიაში შესატანი თანხა ლონდონის ვაჭრებისათვის იყო 13 ფუნტი, ინგლისის სხვა ქალაქის ვაჭრებისათვის 20 ფუნტი, ხოლო ინგლისელი, რომელიც ვაჭრობდა აღმოსავლეთში 1568 წლიდან (ე. ი მინიმუმ 10 წელი-ი.ბ) დაიშვებოდნენ კომპანიაში ასევე 20 ფუნტის გადახდის პირობით.

სხვა მონაცემებით, კომპანიაში შესვლის საფასური თავდაპირველად 50 ფუნტი იყო, მაგრამ მოგვიანებით შემცირდა 25 ფუნტამდე (Sellers Maud, 1906, გვ. 55)

რამდენი წევრი იყო კომპანიაში?

1568 წლამდე კომპანიის წესდების მიხედვით იყო 75 წევრი, აქედან 74 მამაკაცი და ერთი ქალი (Studies, 1913,გვ.285). სხვა მონაცემებით კომპანია ითვლიდა 64 კაცს. აქედან 4 ყოფილა ოლდერმენი. კომპანიაში გაერთიანებული იყვნენ ფუფუნების საგნებით (მერსერთა), მაუდით და იარაღის მოვაჭრეთა კომპანიებიდან. მასში ფიგურირებდნენ ლონდონელი ვაჭრები, მაგრამ დამატებით ვაჭრების მოზიდვის მიზნით, კომპანიის კარი ღია იყო პროვინციელი ვაჭრებისთვისაც. მაგალითად 1579 წლის აღმოსავლეთის კომპანიის ქარტიაში პირდაპირ

დასახელებულია ქალაქები: ბრისტოლი, პლიმუტი, ტოტსენი, რომლებისთვისაც უარი არ უნდა ეთქვათ კომპანიაში შესვლაზე (ბელთაძე, 2009, გვ.167).

კომპანიაში შედიოდნენ მდიდარი ვაჭრები და გავლენიანი პირები. მაგალითად: თომას პულისონი იყო თავისი დროის ერთ-ერთი გამორჩეული და გავლენიანი ვაჭარი, ოლდერმენი, ბარნი - ოლდერმენი, ჯორჯ ბონდი - მოსკოვის კომპანიის ერთ-ერთი გუბერნატორი, კრისტოფერ ჰოლესდონი - მოსკოვის და ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიების წევრი, თომას უილფორდი - ესპანეთის საპაიო კომპანიის გუბერნატორი, თომას ალენი - კომპანიის ხაზინადარი, რომელიც აფინანსებდა ფრობიშერის ექსპადიციას ჩრდ-დასავლეთში, ჰიუ ოფლი - მდიდარი ვაჭარი, მოსამართლე და მოგვიანებით მრჩეველი და სხვები.

კომპანიას სათავეში ჰყავდა ყოველწლიურად არჩეული გუბერნატორი, მისი მოადგილე და 24 თანაშემწე. პირველი გუბერნატორი ყოფილა ოლდერმენი თომას პულისონი, ხოლო თომას რასელი მისი მოადგილე. მათ განკარგულებაში შეიძლება ყოფილიყო მიწები, რომლის შემოსავალი აღემატებოდა 1000 ფუნტს. მათ ჰქონდათ საერთო ბეჭედი.

კომპანიას ჰქონდა სასამართლო უფლებაც. მას შეეძლო კრება ჩაეტარებინა როგორც ინგლისში (ლონდონში ი.ბ), ისე აღმოსავლეთის ქვეყნებში. მხოლოდ მას უნდა დასწრებოდა კომპანიის 20 წევრი აქედან 13 უნდა ყოფილიყო გუბერნატორის თანაშემწე.

კომპანიას ჰყავდა მუდმივი მმართველობის წარმომადგენელი-რეზიდენტი აღმოსავლეთში, რომელიც იყო გუბერნარორის მოადგილე.

ქარტიის მიხედვით კომპანიას ჰყავდა სასამართლო 25 კაცის შემადგენლობით, რომელიც ისმენდა ბრალდებებს, მტკიცებულებებს, ანგარიშებს და ა. შ. ის უფლებამოსილი იყო აღესრულებინა კანონები, როგორც კომპანიის წევრებზე ისე უცხო პირებზე ინგლისში და ბალტიის ქვეყნებში.

ძნელია იმის დადგენა, თუ რამდენი იყო კომპანიის საწყისი კაპიტალი და მოგება, მაგრამ თუ მოსკოვის საპაიო კომპანიის საწყისი კაპიტალი შეადგენდა 6 ათას ფუნტს, ნაკლები არ იქნებოდა აღმოსავლეთის საპაიო კომპანიისაც, ვინაიდან კომპანიის მდიდარმა ვაჭარმა, თომას ალენმა მარტო 1590 წელს აიღო 3 ათასი ფუნტი სტერლინგი მოგება (Studies, 1913: 281). ხოლო მეორე ვაჭრის შემოსავალი შეადგენდა 7 ათას ფუნტს.

(Studies, 1913, გვ. 285-287). ამდენად, ეს კომპანიაც უნდა ყოფილიყო მდიდარი ვაჭრებისაგან შემდგარი , რომლებიც საკმაოდ დიდ კაპიტალს ფლობდნენ.

აღმოსავლეთის კომპანიის წყალობით გაიზარდა ინგლისის სავაჭრო ექსპანსია ბალტიისპირეთში. თუ 1562 წელს ბალტიისპირეთში იმყოფებოდა 1192 ჰოლანდიური გემი და 51 ინგლისური, 1591- 1640 წლებში სურათი შეიცვალა. ზუნდის სრუტეში გაცურა ჰოლანდიის 142, ხოლო ინგლისის 1023 ხომალდმა (Devis ,1962, გვ.1).

აღმოსავლეთის საპაიო კომპანია ეწეოდა ქსოვილების, კერძოდ უხეში მაუდის ექსპორტს. ირკვევა, რომ ინგლისისათვის ბალტიისპირეთთან ვაჭრობამ განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა.

1620 წლის Eastern Company's Duty Act-ში ჩამოთვლილია კომპანიის მიერ ექსპორტირებული ყველა საქონელი: ფართო და ვიწრო განის ქსოვილები, უხეში შალის ქსოვილი, ფეხსაცმლის ტყავი, ცხვრის, კურდღლის და მელას ტყავი, ბამბის ქსოვილი, ნორვეგიული საქონელი და სხვა (The Acts, 1906, გვ. 20-21).

ყველა ზემოაღნიშნული საქონელი, ინგლისურიც და ნორვეგიულიც, მიუთითებს იმაზე, რომ ქსოვილი იყო ძირითადი საექსპორტო საქონელი ბალტიის სანაპიროზე ვაჭრობისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ ქსოვილი იყო მთავარი საექსპორტო საქონელი ტყავის და ბეწვის ექსპორტმა ასევე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა, განსაკუთრებით მე-17 საუკუნის შუა ხანებში ქსოვილით ვაჭრობის დაცემის დროს. 1620 წელს კომპანიის ვაჭრები ჩიოდნენ, რომ აღმოსავლეთ ევროპაში ტანსაცმლის გაყიდვიდან მიღებული მოგება ადრე იყო დაახლოებით 200 000 ფუნტი, მაგრამ ახლა დაეცა 70 000 ფუნტამდე (Sellers Maud, 1906, გვ. 2).

ინგლისელი მეცნიერი როჯერ კოკი გვაწვდის უფრო ზუსტ ინფორმაციას: 1640 წლამდე კომპანია ყოველწლიურად ახორციელებდა 20 000 თოფი ფართო ქსოვილის, 60 000 თოფი უხეში შალის ქსოვილის და 40 000 თოფი ორმაგი ქსოვილის ექსპორტს. შემდგომში, კომპანიამ ექსპორტზე გაიტანა უკვე 40 000 თოფი ფართო ქსოვილი, 5 000 თოფი უხეში შალი და 2 000 თოფი ორმაგი ქსოვილი (Coke, 1970, გვ. 21) ეს მონაცემები ადასტურებს , რომ იკლო მაუდის ექსპორტმა. სამაგიეროდ გაიზარდა ტყავის ექსპორტი.

ირკვევა, რომ ჯეიმს I-ის მეფობის დასაწყისში (1603 წ) აღმოსავლეთის კომპანიის მიერ ტყავის ექსპორტი გახდა ყველაზე მნიშვნელოვანი საექსპორტო საქონელი.

რაც შეეხება იმპორტს, ბალტიისპირეთიდან შემოტანილი საქონელი უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ინგლისისათვის, რადგან ის ხელს უწყობდა საზღვაო ფლოტის განვითარებასა და აღჭურვას, რაც უზრუნველყოფდა ქვეყნის თავდაცვასა და სოციალურ სტაბილურობას. ეს ეხებოდა ისეთ საქონელს, როგორიცაა: ხე-ტყე გემთმშენებლობისთვის, ანძები, სელი, კანაფი, ფისი, ნიჩბები, თოკები, ძაფები და ტილო. ასევე შემოდიოდა დენთი, მარილი, გოგირდი, საპონი, ფოლადი, სპილენძი და რკინა. ინგლისს ძალიან სჭირდებოდა მარცვლეულის, ჭვავის და ხორბლის შემოტანა ბალტიისპირეთიდან, რადგან არ იყო საკმარისი საკუთარი მარცვლეული, განსაკუთრებით მოუსავლიანობის წლებში.

1620 წლის Eastern Company's Duty Act-ში იგივე საიმპორტო საქოლის ჩამონათვალი არის მოცემული (The Acts, 1906, გვ.65). 1623 წელს Eastern Company-ის იმპორტმა შეადგინა დაახლოებით 120 000 ფუნტი, აქედან კალიუმის იმპორტი შეადგენდა 30 000 ფუნტის ღირებულებას, რაც კალიუმის მთლიანი იმპორტის მეოთხედს შეადგენდა (State Papers ,1858, გვ.149-159).

ინგლისელები ჰანზას ლიგას მიიჩნევდნენ ბალტიისპირეთის ვაჭრობაში კონკურენტებად. ჰანზას პრივილეგიებს თავის დროზე, ბალტიის და ჩრდილოეთის ზღვის გარშემო ბოლო მოუღო ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიამ. ინგლისელებმა 1564 წელს ემდენში და 1567 წელს ჰაბსბურგში დაარსა თავისი ფაქტორიები. 1473 წელს ინგლისის მეფის ედუარდ IV-ის ჰანზასთან დადებული უტრეხტის ხელშეკრულებით აღიარეს ინგლისელთა სავაჭრო უფლებები პრუსიაში. მთავარი სავაჭრო ცენტრი პრუსიაში იყო დანციგი. 1577 წელს სავაჭრო ცენტრი გადავიდა ელბინგში (პოლონეთის ქალაქი), რომელიც შედიოდა ჰანზის კავშირში, მაგრამ არ ემორჩილებოდა მას.

ინგლისელთა უკმაყოფილება ჰანზასთან დაიწყო იმით, რომ ისინი არღვევდნენ ინგლისელთა უფლებებს დანციგში, სადაც აუკრძალეს თავისუფლად ეყიდათ და გაეყიდათ საქონელი და ასევე დაუწესეს ახალი საბაჟო გადასახადებები. 1578 წელს კი ინგლისელები გააძევეს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ჰამბურგიდან. ამ ორი ფაქტორის, დანციგში მათი შევიწროებისა და ჰამბურგიდან გაძევების შემდეგ შეიქმნა 1579 წელს სწორედ ბალტიის კომპანია.

1579 წლის 4 დეკემბრის დედოფლისადმი მიწერილ წერილში საუბარია იმის შესახებ, რომ ინგლისის ვაჭრებს ლონდონიდან, ჰალედან, ნიუკასტლიდან, იპსვიჩიდან და ლინიდან შეეძლოთ ბალტიისპირეთის ქვეყნებში თავისუფალი ვაჭრობა (Studies... 1913, გვ. 279).

კომპანია დარჩენილა კმაყოფილი და ითხოვდა ინგლისის სამეფო ხელისუფლებისაგან ბალტიის „ისტლენდის“ კომპანიისათვის გარკვეული პრივილეგიებისა და უსაფრთხოების გარანტიის მიცემას. ამას ადასტურებს 1583 წელს პოლონეთში კომპანიის წარმომადგენლის ჯონ ჰერბერტის გაგზავნა ინგლისელთა ინტერესების დასაცავად. ასევე 1586 წელს კომპანიის მიმართვა დანიის ხელისუფლებისადმი დანაკარგების ანაზღაურების და უსაფრთხოების შესახებ (Studies... 1913, გვ.281). (როგორც ჩანს დანიელების მხრიდან ადგილი ჰქონდა მეკობრეობას-ი.ბ)

ირკვევა, რომ XVI საუკუნის ბოლოს და XVII საუკუნის დასაწყისში აღმოსავლეთის საპაიო კომპანიამ აყვავებას მიაღწია, ხოლო შემდეგ მოჰყვა დაცემა. აღმოსავლური კომპანიის ვაჭრობამ იკლო, მაგრამ ამას ხსნიდნენ წარმოების სწრაფი განვითარებით აღმოსავლეთის ქვეყნებში. 1616 და 1630 წლების საექსპორტო სიებიც ადასტურებენ ამას. თუ ოციან წლებში ძირითადად მზა პროდუქცია (მაგალითად, ქსოვილი, გარუჯული ტყავი) გადიოდა ბალტიისპირეთის ქვეყნებში, შემდეგ ოცდაათიან წლებში ამ ქვეყნებში წარმოებისთვის საჭირო ნედლეული (მაგალითად, მატყლი, ბეწვი) გადიოდა (The Acts, 1906, 21, 65).

ბალტიისპირეთის ქვეყნებმა, ინგლისიდან ჩამოტანილი ნედლეულისა და საქონლის გამოყენებით, განავითარეს თავიანთი წარმოება, რაც ჰოლანდიელებისგან ისწავლეს. ამიტომ აღმოსავლეთის კომპანიის ვაჭრებს ინგლისური ქსოვილის მაღალ ფასებში გაყიდვა არ შეეძლოთ, რადგან ფართო ქსოვილი და უხეში შალის ქსოვილი დიდი რაოდენობით იწარმოებოდა არა მხოლოდ ლეიდენსა და ჰოლანდიის სხვა ქალაქებში, არამედ გერმანიაში, ბრანდენბურგსა და სილეზიაში, ასევე პოლონეთსა და პრუსიაში. ეს ქსოვილი ბევრად იაფი ღირდა, ვიდრე ნებისმიერი ინგლისიდან ჩამოტანილი. 1622 წელს ჰანზას ვაჭრებს შეეძლოთ თავიანთი საქონლის გაყიდვა იქ უფრო იაფად, რადგან ისინი ვაჭრობდნენ პირდაპირ, შუამავლების გარეშე (State Papers ,1858, 149-150).

ადრე პოლონელი არისტოკრატები თავიანთ მსახურებს აცმევდნენ ინგლისური ქსოვილისგან დამზადებულ ტანსაცმელს, მაგრამ რადგან ომის ბოლოს ბევრი ეს არისტოკრატი გაღატაკდა და აღარ შეეძლო დიდი თანხის გადახდა ძვირადღირებულ ინგლისურ ქსოვილში, მათმა მსახურებმა დაიწყეს სილეზიაში ან მათ ქვეყანაში წარმოებული ქსოვილისგან დამზადებული ტანსაცმლის ჩაცმა.

ერთი სიტყვით, ინგლისიდან ბალტიისპირეთში ნედლეულის გატანის შედეგად ადგილზე წარმოებული ქსოვილის, შუამავლების გარეშე, გაყიდვამ გააიაფა საქონელი და კონკურენცია გაუწია ინგლისურ ძვირად ღირებულ ქსოვილს, რამაც შეამცირა კომპანიის მოგება.

კომპანიის დასუსტებაზე უდიდესი გავლენა იქონია ასევე პოლიტიკური რეჟიმების შეცვლამ ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის (1642-1651), ასევე ევროპაში ოცდაათწლიანი ომის (1618-1648) შედეგებმა.

ოლივერ კრომველმა ხელისუფლებაში მოსვლის პირველ თვეებში კომპანიებს პრივილეგიები ჩამოართვა, მაგრამ მალევე მიხვდა თავის შეცდომას და მოგვიანებით გაზარდა აღმოსავლეთ ინდოეთის კომპანიის უფლებები და აღადგინა ვაჭრ-ავანტიურისტთა კომპანია თავის სტატუსში (Кеннингем, 1909. გვ.189). მან ასევე მხარი დაუჭირა ბალტიის კომპანიას, რისთვისაც შეამცირა ჰოლანდიის ძალა, რომელიც ბალტიისპირეთში საგარეო ვაჭრობაში ინგლისის ერთ-ერთი უძლიერესი კონკურენტი იყო (Sellers Maud, 1906, გვ.47).

1656 წლიდან 1660 წლამდე არც ერთი ახალი ჩანაწერი არ გამოჩნდა Eastern Company Book-ში, თუმცა ამ წლების განმავლობაში იყო უპრეცედენტო შემთხვევები, მაგალითად, იორკში კომპანიის ორმა წევრმა უარი თქვა კომპანიაში შესვლის საფასურის გადახდაზე და საზეიმო ფიცის დადებაზე და თქვეს „არ არსებობს ჩვენთვის კომპანია, როცა მოვა დრო ჩვენ ფიცს დავდებთ, მაგრამ არა უფრო ადრე“ (Sellers Maud, 1906, გვ.47-48).

ძალიან რთულია ზუსტი თარიღის დასახელება, როდესაც ბალტიის (აღმოსავლეთის) კომპანიამ არსებობა შეწყვიტა. როგორც ჩანს, მე-17 საუკუნის ბოლოს კომპანიის საქმიანობა ფაქტობრივად შეწყდა, რადგან მან ვერ შეძლო ხაზინაში საჭირო გადასახადების გადახდა (Sellers Maud, 1906, გვ.50).

დასკვნა

ამრიგად, ბრიტანეთის აღმოსავლეთის (ბალტიის) საპაიო კომპანიის შესწავლამ ნათელყო, რომ მან მისი დაარსებიდან (1579 წ) XVII ს-ის ბოლომდე, მოიპოვა მონოპოლიური უფლება აღმოსავლეთში ვაჭრობაზე. ქარტიით მისი მოქმედების არეალი მოიცავდა ნორვეგიას, შვედეთს, პოლონეთს, პრუსიას, ფინეთს, ჰოლანდიას. საპაიო კომპანიას შეხვდა დიდი სირთულეები, ვინაიდან მოგზაურობა სახიფათო იყო. მეკობრეები იჭრებოდნენ ზღვაში, ჰანზა უწევდა კონკურენციას, მაგრამ ამან ვერ შეაჩერა ინგლისელები, ვინაიდან ბალტიისპირეთის ვაჭრობა უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ინგლისის ეკონომიკისთვის. ბალტიისპირეთიდან ექსპორტირებული საქონელი (ხის მასალა, სელი, კანაფი, ფისი, ნიჩბები, თოკები, ძაფები, იალქანი და სხვა) ხელს უწყობდა მისი ფლოტის განვითარებას და აღჭურვას, რაც უზრუნველყოფდა ქვეყნის თავდაცვას და სტაბილურობას. კომპანიის არსებობის პირველ წლებში ძირითადი იმპორტი იყო მარცვლეული, სელი და კანაფი, ხოლო მე-17 საუკუნეში-კალიუმი და ხე-ტყე. თავის მხრივ, ინგლისმა ბალტიისპირეთის ქვეყნებში ექსპორტზე ძირითადად ქსოვილები, ტყავი, ბეწვი, კალიუმი და მერქანი გაიტანა. თავდაპირველად, ძირითადი საექსპორტო პროდუქტი ქსოვილი იყო. თუმცა მე-17 საუკუნის დასაწყისში ქსოვილების გაყიდვა ნაკლებად მომგებიანი გახდა. ამიტომ, ქსოვილის გარდა, მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მელას ტყავის, ბატკნის, ნაცრისფერი და შავი კურდღლის ტყავის, ასევე ტყვიის, კალის, ზაფრანის და ნახშირის ექსპორტი.

კომპანიის შექმნის შემდეგ მოხდა ინგლისელი ვაჭრების დასახლება ელბინგში და დაიმკვიდრეს აქ თავი უფრო ხელსაყრელ პირობებში, ვიდრე სარგებლობდნენ დანციგში, რაც შენარჩუნეს ნახევარი საუკუნის განმავლობაში. ინგლისელი ვაჭრები მონდომებული იყვნენ საკუთარი ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობით და ხშირ შემთხვევაში სჯობნიდნენ მათ კონკურენტებს.

ბალტიის (აღმოსავლეთის) საპაიო კომპანიამ, ინგლისის სხვა კომპანიების მსგავსად, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქვეყნის საგარეო ვაჭრობის განვითარებაში. შემდგომში ყურადღება თანდათან ბალტიისპირეთის ვაჭრობიდან ტრანსატლანტიკურ ვაჭრობაზე გადავიდა. შეიქმნა ოსტ-ინდოეთის ვესტ-ინდოეთის საპაიო კომპანიები, რომლებმაც ხელი შუწყო ინგლისის კოლონიურ ექსპანსიას და ეკონომიკურ განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა

Coke, R. (1970). England's Improvement. L.

Deadorf, N.K. (1972). English trade in the Baltic during of Elizabeth//Studies in the history of English commerce in the Tudor period. N.-Y.

Devis, R. (1962). Rise of the English shipping Indaustry in the XVII th and XVIII th centuries. London.

Hinton, R.W. (1959). The Eastland Company and the common weal in the Seventeenth century. Cambridge.

Lingelbach, W.E. (1902). The Internal Organization of the Merchant Adventurers of England.// Transaction of the Royal Historical Society, vol. XVI.

Lipson, E. (1931). The Economic History of England. L.

Ramsay, G.D. (1906). English overseas Trade during the centuries of emergence // Studies in some modern origins of the English-speaking world. London.

State Papers. (1858). James I, June 26, 1620 ./ Ed. by M. A. Everett Green. vol.15. L.

State Papers (1859). James I, May 4, 1624/. Ed by M. A. Everett Green. vol.16. L.

State Papers (1897). (Dom.), Charles I, July 22, 1636/Ed. by W. D. Hamilton, S. C. Lomas. vol. 53, L.,

Sellers Maud. (1906). Introduction // The Acts and Ordinances of the Eastland Company. L.

Studies in The History of English Commerce in The tudor Period. (1913) New York,. (გვ.243-328)

The Acts and Ordinances of the Eastland Company. L., 1906.

Болтон, Дж. (1984). Англо-балтийская торговля в XVI в.//Проблемы британской истории, Москва

Кеннингем, У. (1909). Рост английской промышленности и торговли. Москва

Цыпурина, Г.И. (1987) .Структура и права английской Балтийской компании по хартии 1579 г. // Развитие античного и средневекового города. Москва

Цыпурина, Г.И. (1988). Борьба Англии за балтийский рынок во второй половине XVI века (к вопросу о причинах создания Балтийской компании)//Англия в эпоху феодализма. МоскваШтокмар В.В. (1962) Экономическая политика английского абсолютизма в эпоху его расцвета. Ленинград.

იზოლდა ბელთაძე-ხინიკაძე. (2009). ინგლისის სავაჭრო კომპანიები და კოლონიური ექსპანსია (XV-XVIIს. დასაწყისში). თბილისი.

REFERENCES

Coke, R. (1970). England's Improvement. L.

Deadorf, N.K. (1972). English trade in the Baltic during of Elizabeth//Studies in the history of English commerce in the Tudor period. N.-Y.

Devis, R. (1962). Rise of the English shipping Indaustry in the XVII th and XVIII th centuries. London.

Hinton, R.W. (1959). The Eastland Company and the common weal in the Seventeenth century. Cambridge

Lingelbach W.E. (1902). The Internal Organization of the Merchant Adventurers of England.// Transaction of the Royal Historical Society, vol. XVI.

Lipson, E. (1931). The Economic History of England. L.

Ramsay, G.D. (1906). English overseas Trade during the centuries of emergence // Studies in some modern origins of the English-speaking world. London.

State Papers (1858). James I, June 26, 1620 ./ Ed. by M. A. Everett Green. vol.15. L.

State Papers (1859). James I, May 4, 1624/. Ed by M. A. Everett Green. vol.16. L.

State Papers (1897). (Dom.), Charles I, July 22, 1636/Ed. by W. D. Hamilton, S. C. Lomas. vol. 53, L.,

Sellers Maud. (1906.) Introduction // The Acts and Ordinances of the Eastland Company. L.

Studies in The History of English Commerce in The tudor Period. (1913). New York,. (გვ.243-328)

The Acts and Ordinances of the Eastland Company. L., 1906.

Bolton, D. (1984). Anglo- Baltiiskaia Torgovlia V XVI V./ Problemi Britanskoi Istorii. Moskva.

Keningem, U. (1909). Rost Angliiskoi Promishlennosti I Torgovli. Moskva .

Cipurina, G.(1987). Struqtura I Prava Angliiskoi Baltiiskoi Kompanii Po Xartii 1579 G./Razvitie Antichnogo I Srednevekobogo Goroda. Moskva .

Cipurina, G.(1988.) Borba Anglii Za Baltiiskii Rinok Vo Vtoroi Polovine XVI veka (K Boprosu O Prichinax Sozdania Baltiiskoi Kompanii/ Anglia V Epoxu Feodalizma. Moskva.

Shtokmar, V. (1962). Ekonomicheskaia Politika Angliiskogo Absolutizma V Epoxu Ego Rascveta. Leningrad.

Izolda Beltadze-Xinikadze. (2009). Englisis Savachro Kompaniebi Da Koloniuri Eqspansia (XV-XVII Saukunis Dasacyisshi). Tbilisi.